ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2756876

ნომერი: AR1418800

თარიღი : 01.07.2016

გაცემის თარიღი : 03.08.2016

გაცნობის თარიღი : 03.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 49ბ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან კუბლაშვილი პ/ნ 42001000348
- თბილისი აკ.წერეთლის გამზ. N 95 ბ. 45

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განმეორებით განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, შემდეგს: ვინაიდან რეკონსტრუქციის შედეგად ხორციელდება შენობის სახურავის არსებითი ცვლილება მასზე ეწყობა ექსპლუატირებული ტერასა , შესაბამისად იზრდება საზაფხულო ფართობი , აღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის პოზიცია უცვლელია და წარმოსადგენია განახლებული ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს „ფაილის მიმაგრების" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 100% და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა 100%. ;

ვინაიდან ბრტყელი სახურავი იცვლის ფუნქციას (ხდება ექსპლუატირებული ტერასა) ასევე ხორციელდება სახურავზე ცემენტის მოჭიმვაა რის გამოც იზრდება სახურავის დატვირთვა. არნიშნულისათვის წარმოსადგენია კონსტრუქციული დასკვნა რეკონსტრუქციის განხორციელების შესაძლებლობის თაობაზე

დამატებით გაცნობებთ სამსახურში შემოსულია მარიამ ცაგურიშვილის AR1396648 განაცხადი, რომელიც ითხოვს აღნიშნულ მისამართზე ნებისმიერი განცხადების შემოსვლისთანავე საქმის წარმოებაში ჩართვას . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახურის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის და მითითებული ხარვეზების გამოსწორების შემდგომ ამ საქმესთან დაკავშირებით ჩაინიშნება ზეპირი მოსმენის სხდომა , რომელის ჩატარების დრო და თარიღი გეცნობებათ დამატებით (სხდომა საჯაროა შესაძლებელია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის , მაგრამ დასწრება სავალდებულოა, როგორც თქვენთვის, ასევე დაინტერესებული პირის: მოქ. მარიამ ცაგურიშვილისათვის)

გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი აღნიშნულის შესახებ.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.